საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 31
03/05/2018

31-06-4-201805031705

დადგენილება N31
2018 წლის 2 მაისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №8 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 10/02/2015, სარეგისტრაციო კოდი 200230000.35.113.016215).

ბ) „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 მარტის №22 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 19/03/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.171.016071).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო